სტეფანი ლ. მაკანდრეუსი

წიგნიერების დიაგნოსტიკური შეფასებები და სწავლების სტრატეგიები:
წიგნიერების სპეციალისტის რესურსი

გამომცემლობა INTERNATIONAL Reading Association, 2008 წელი. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
296 გვერდი.
ფასი - 25 ლარი.

სახელმძღვანელო დაწერილია წიგნიერების სპეციალისტებისათვის ან კითხვის ტრენერთათვის, რომლებიც მუშაობენ პედაგოგებსა და მოსწავლეებთან და ხელს უწყობენ მოსწავლეთა ენობრივი, კითხვისა და წერის უნარების გაუმჯობესებას. წიგნიერების ექსპერტობა ან კითხვის მიმართულების სპეციალისტობა, საზოგადოდ, მიიღწევა მაღალი საფეხურის განათლებითა და სერტიფიცირებით - რადგანაც ამ პოზიციაზე მყოფი პიროვნება ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს არა მხოლოდ კითხვის, არამედ ენობრივი და წერის უნარების განვითარებასაც. მთელ წიგნში ეს პოზიცია მოხსენიებული იქნება წიგნიერების სპეციალისტად.

წიგნი დაფუძნებულია ეფექტური წიგნიერების პრაქტიკის მიმდინარე კვლევებზე, წლების განმავლობაში ავტორის მიერ ამ პრაქტიკის გამოყენებაზე და მისი, როგორც საგნის

მასწავლებლის, კითხვის სპეციალისტის, კითხვის აღდგენითი პედაგოგის, კონსულტანტისა და უნივერსიტეტის წიგნიერების პროფესორის, გამოცდილებაზე. ამ გამოცდილებებმა საშუალება მისცა ავტორს, ჩასწვდომოდა რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსს, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა ენობრივი, კითხვისა და წერის უნარების განვითარებაში.